

**FROM THE CULTURAL-HISTORICAL RELATIONS OF GEORGIA AND ANTIOCH ON-
THE-ORONTE IN THE 11TH-12TH CENTURIES**

**XI-XII საუკუნეების საქართველოსა და ორონტის ანტიოქიის
კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებიდან**

NESTAN CHKHIKVADZE

PhD, Chief Researcher

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. Tbilisi, Georgia

Email: nestan_tch@yahoo.com. Tel: +995 599 167459

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0008-4161-8479>

ABSTRACT

This article discusses the motives underlying the literary activity of the Georgian monasticism in the Greek and Georgian monasteries of Black Mountain, Admirable Mountain and Cassius Mountain in the 11th-12th centuries in Antioch on the Orontes, in particular, the steps taken by the Georgian royal court (Bagrat IV, David IV the Builder) and famous church figures (George the Hagiorite, Ephrem Mtsire, Arsen of Iqalto) to strengthen the autocephaly of the Georgian Church.

Georgian liturgical, hagiographic collections and biblical books created in this multicultural space of Christianity in the 1031-1216 are used as research material. Both the literary sources (Greek, Syriac, Arabic) of the works included in these manuscripts, as well as the colophons attached to the manuscripts, are discussed. The aim of the research is not to focus on the literary significance of manuscripts, but to consider them as sources reflecting the cultural and historical situation of a specific era.

In the process of research, the study of the codicological and editorial features of the manuscripts made it clear that the Georgian manuscripts copied in Antioch On-the-Orontes during the second Byzantine rule provide us with important information about the close ties of Georgian monasticism with the largest monastic center of Eastern Christianity Mar Saba, as well as with Greek and Arab scribes active in this region of Eastern Christianity, with Nikon of the Black Mountain, the reformer of Byzantine monastic life, as well as with the spiritual circles of Alexandria Minor (present-day Iskanderuni).

The results of the research made it clear that the activities of Georgian scribes and the royal court (David IV the Builder) aimed at restoring the historical ties between the Georgian Church and the Patriarchate of Antioch, which was manifested in the translation of works dedicated to the saints of Antioch, the use of Greek-language Syriac sources in the history of the conversion of Kartli by Ephrem Mtsire, and the regulation of life at the Shiomghvim Monastery in Kartli based on the Typicon of the Monastery St. Symeon Stylites the Younger.

Keywords: Georgia; Antioch On - the – Orontes; Manuscripts; Historical Relations.

ნესტან ჩხიკვაძე

ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის 1/3
ელფოსტა: nestan_tch@yahoo.com. მობ.: +995 599 167459
ORCID ID: <https://orcid.org/0009-0008-4161-8479>

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია XI-XII ს-ში ორონტის ანტიოქიაში, კერძოდ, შავი მთის, საკვირველ მთისა და კასიუსის მთის ბერძნულ და ამასთანავე ქართულ მონასტრებში დამკვიდრებული ქართული ბერმონაზვნობის სამწიგნობრო საქმიანობის განმაპირობებელი მოტივები, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამყარების მიზნით საქართველოს სამეფო კარისა (ბაგრატ IV, დავით IV აღმაშენებელი) და ეკლესიის ცნობილ მოღვაწეთა (გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი) მიერ გადადგმული ნაბიჯები.

საკვლევ მასალად გამოყენებულია 1031-1216 წწ-ში ქრისტიანობის ამ მულტულტურულ სივრცეში შექმნილი ქართული ლიტურგიკული, აგიოგრაფიული კრებულები და ბიბლიური წიგნები. განხილულია როგორც ამ ხელნაწერებში შემავალი თხზულებების სალიტერატურო წყაროები (ბერძნული, სირიული, არაბული), ასევე ხელნაწერებზე დართული კოლოფონები. ჩატარებული კვლევის მიზანია ყურადღება გაამახვილოს არა ხელნაწერი წიგნების ლიტერატურულ მნიშვნელობაზე, არამედ განიხილოს ისინი როგორც კონკრეტული ეპოქის კულტურულ-ისტორიული ვითარების ამსახველი წყაროები.

კვლევის პროცესში ხელნაწერთა კოდიკოლოგიური და რედაქციული თავისებურებების შესწავლამ ნათელი გახადა, რომ ბიზანტიის მეორე ბატონობის პერიოდში ორონტის ანტიოქიაში გადაწერილი ქართული ხელნაწერები გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართველი ბერმონაზვნობის მჭიდრო კავშირზე როგორც აღმოსავლური ქრისტიანობის უდიდეს სამონასტრო ცენტრთან- საბაწმინდასთან, ასევე ანტიოქიაში მოღვაწე ბერძენ თუ არაბ მწიგნობრებთან, ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების რეფორმატორ ნიკონ შავმთელთან, და მცირე ალექსანდრიის (ამჟ. ისქანდერუნი) სასულერო წრებთან.

კვლევის შედეგებად გამოიკვეთა, რომ ქართველ მწიგნობართა და სამეფო კარის (დავით IV აღმაშენებელი) საქმიანობა მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიასა და ანტიოქიის საპატრიარქოს შორის არსებული ისტორიული კავშირების რესტავრაციას, რის გამოვლინებასაც წარმოადგენდა ანტიოქიის წმინდანებისადმი მიძღვნილი თხზულებების თარგმნა, ეფრემ მცირის მიერ ქართლის მოქცევის ისტორიის შედგენისას ბერძნულენოვანი სირიული წყაროების გამოყენება, ქართლში არსებული შიომღვიმის მონასტრის ცხოვრების ორგანიზაცია სვიმეონწმინდის ტიპიკონის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; ორონტის ანტიოქია; ხელნაწერი; ისტორიული ურთიერთობები.

შესავალი

ქართული ხელნაწერი ტრადიციის მრავალწლიანმა კვლევამ სავსებით ნათელი გახადა, რომ შუა საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერისა თუ ცალკეული ტექსტის მნიშვნელობის შეფასება დიდი ხანია გასცდა იმ ზოგად ჩარჩოს, რომელიც სასულიერო მწერლობის ძველი ქართული თარგმანებისა და, უპირველესად კი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას მხოლოდ ორი არსებითი ეტაპის - ადრექრისტიანულისა და კონსტანტინოპოლურის - ფარგლებში განიხილავდა ისე, რომ არ ამახვილებდა ყურადღებას ამა თუ იმ თხზულების გავრცელებისა თუ კრებულის შედგენა-რედაქტირების არეალსა და იქ არსებულ კულტურულ-ისტორიულ ტენდენციებზე. IX-XII საუკუნეების ქართული ხელნაწერი ქრისტიანული მწერლობის ისტორიის კონტექსტში სიღრმისეულადაა შესწავლილი როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევრების მიერ. ადრექრისტიანული, ანუ იერუსალიმური ტრადიციის IX-X საუკუნეებით დათარიღებული ქართული ჰომილეტიკური თუ ლიტურგიკული კრებულების - მრავალთავებისა და უძველესი იადგარის კალენდარული სისტემების, თარგმანთა რედაქციული თავისებურებებისა და კოლოფონების კვლევამ თვალსაჩინო გახადა ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე პერიოდში გადაწერილ კრებულთა შორის გამოვლენილ სხვაობებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში არ ეძებნებათ შესატყვისი ბერძნული წყარო, საფუძვლად თავად ისტორიული პალესტინის სხვადასხვა სამონასტრო ცენტრებში არსებული ტრადიციები და კულტურული გავლენები უდევს (Garitte 1958 :1-485; Esbroeck van 1975: XXV-369; Renoux 2008 :3-247; ჩხიკვაძე 2021: 334-338). X საუკუნის მიწურულიდან ქართული ხელნაწერი და მთარგმნელობითი ტრადიცია მაკედონური და შემდგომ კი კომნენოსთა ეპოქის ბიზანტიური სამწერლობო სივრცისკენ იღებს გეზს. ძირითადად ამ ეპოქას ბერძნული, კერძოდ კი, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ დადგენილი სააზროვნო-სამწერლობო ნორმების დამკვიდრების ხანად მიიჩნევენ და წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით მასვე უკავშირებენ ელინოფილური ტრადიციის განვითარებასა და გავრცელებას ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირის მქონე სამწერლობო ტრადიციებში (ბეზარაშვილი 2011ა :3-324, დობორჯგინიძე 2011 : 5-45).

მაგრამ ეს მხოლოდ ქართული ხელნაწერის კვლევის ერთი ასპექტია. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების სასულიერო შინაარსის ხელნაწერები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, მხოლოდ რელიგიური განათლების მნიშვნელობას ატარებდნენ, ფაქტობრივად სახელმწიფოს კულტურულ-ისტორიული არჩევნის გამოხატულებას წარმოადგენდნენ. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ საგანგებოდ გადაწერილ ხელნაწერთა დამკვეთ-დამფინანსებლები უმაღლესი საერო არისტოკრატის წარმომადგენლები იყვნენ. მაგალითისთვის მოვიხმობთ თუნდაც ახლად დაარსებული ივირონის ბიბლიოთეკისათვის ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის დაფინანსებით გადაწერილ უმნიშვნელოვანეს წიგნებს: ოშკის ბიბლიას-Ivir.Geo.1 (978) და ჰომილეტიკურ კრებულ „სამოთხეს“-Ivir.Geo.9 (977). ასეთი არაერთი მაგალითის მოტანაა შესაძლებელი. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ საეკლესიო ცხოვრების ორგანიზაცია, სამწერლობო ტრადიციები და მათ პარალელურად განვითარებული საგანმანათლებლო ტენდენციები მჭიდროდ უკავშირდება ცალკეულ ისტორიულ რეალებსა და ამა თუ იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივ პოლიტიკურ პროცესებს. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იპყრობს ორონტის ანტიოქიის მიდამოებში ბიზანტიის მეორე ბატონობის პერიოდიდან (969-1084 წწ.) 1216 წლამდე გადაწერილი ქართული ხელნაწერები.

მეთოდოლოგია

საქართველოსა და XI-XII ს-ის ორონტის ანტიოქიას შორის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების კვლევა წარიმართა 1031-1216 წლებს შორის ორონტის ანტიოქიაში გადაწერილი 25 ქართული ხელნაწერის კოლოფონების წყაროთმცოდნეობითი ანალიზის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ შედგენილ ანდერძ-მინაწერებსა და კომენტარებს; ხელნაწერები დაჯგუფდა ტიპოლოგიური თავისებურებების (ლიტურგიკული და შემეცნებით-საგანმანათლებლო დანიშნულების კრებულები) მიხედვით.

მოძიებული იქნა ანტიოქიური ქართული ხელნაწერების ბერძნული და არაბულენოვანი წყაროები; საკვლევი მასალა განხილული იყო XI-XII სს-ის ბიზანტიის კულტურულ-სარწმუნოებრივ არეალში განვითარებული ისტორიული პროცესების კონტექსტში, ასევე ანტიოქიური ქართული ხელნაწერების პარალელურად შესწავლილი იქნა X ს-ის საბაწმინდის მონასტრებში გადაწერილი ქართული ლიტურგიკული და აგიოგრაფიული კრებულები. ისტორიულ-ფილოლოგიურ, კიდოკოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით კვლევაში შედარებითი და თვისობრივი ანალიზის მეთოდის საფუძველზე გამოიკვეთა XI-XII საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთთან ქართული ეკლესიის ურთიერთობების პოლიტიკური და კულტურული საფუძვლები.

შედეგები და მსჯელობა

აგიოგრაფიული წყაროებისა და ხელნაწერთა კოლოფონების კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ქართული ბერძნულენოვანი აქტივობა ორონტის ანტიოქიის მიდამოებში XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი II-ის პერიოდიდან, იწყება, განსაკუთრებით ინტენსიურ სახეს თეოდოსი III-ისა (1057-1059) და იოვანე IV (V)-ისა (1088-1100) წწ.) დროს იღებს და გრძელდება XIII საუკუნის დასაწყისამდე (Grumel 1933: 284-286; Grumel 1934: 129-147). XI საუკუნის 40-იანი წლებისთვის სვიმეონწმინდის მონასტრში უკვე სამოცი ქართველი ღვთისმსახურია (მეგლები 1967: 150), მათ შორის – სასულიერო მწერლობის კონსტანტინოპოლური რედაქციების მთარგმნელი და რედაქტორი, ივირონის მონასტრის წინამძღვარი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ.), XI საუკუნის ცნობილი კალიგრაფები, კტიტორული წიგნების გადაწერები და დამფინანსებლები დავით და იოვანე ჯიბისძეები, იოვანე და მიქაელ დვალები, მოგვიანებით კი ანტიოქიის ქართულ სამწიგნობრო საქმიანობას წარმართავენ ფილოსოფიური კრებულების მთარგმნელები და შემდგენელები ეფრემ მცირე (1027-1101 წწ.) და არსენ იყალთოელი (1050-1127 წწ.).

ამ მწიგნობართა მიერ გადაწერილი ხელნაწერი წიგნების რედაქციული თავისებურებებისა და ქართულ თარგმანთა ბერძნულენოვანი წყაროების კვლევა ფაქტობრივად პასუხს სცემს მთავარ კითხვას – რამ მიიყვანა ამ მულტიკულტურულ და პოლიტიკურად დაძაბულ სივრცეში ქართველი ბერძნულენოვანი, რომელიც უკვე X საუკუნის დასასრულიდან წარმატებით დამკვიდრდა ბიზანტიის ცენტრში არსებულ მონასტრებსა (ოლიმპის მთა, რომანას მონასტერი, ტრიანდაფილვი, ხორა, კონსტანტინეპოლი) და, რაც მთავარია, ათონის მთის ივირონის მონასტერში. დღემდე მკვლევრები ყურადღებას ამახვილებდნენ ამ გადანაცვლების ერთ ყველაზე თვალსაჩინო მიზეზზე, კერძოდ კი, ათონის მთაზე ქართველთა და ბერძენთა შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზე (მეგლები 1967:

93-95; მენაბდე 1980 : 206-208). თუმცა ორონტის ანტიოქიისადმი ქართველთა ინტერესი განაპირობა არა მხოლოდ ივირონის ფარგლებში არსებულმა დამაბულობამ, არამედ გაცილებით ღრმა პროცესებმა, რომლებიც უკავშირდებოდა როგორც კონსტანტინოპოლის ეკლესიის კრიზისს, ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და პატრიარქებს შორის არსებულ დაპირისპირებას (Скабаланович 1884 : 360-425; Максимович 2008: 26-27), ასევე, ქართული ეკლესიის მისწრაფებას, ხაზი გაესვა ქრისტიანული აღმოსავლეთის უდიდესი ცენტრებთან (იერუსალიმი, ანტიოქია) ქართული ეკლესიის ისტორიულ კავშირებისთვის და ამასთანავე გაემყარებინა საკუთარი ავტოკეფალური პოზიცია, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური და, ასევე, ეკონომიკური მიზნების გამო ასე ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური თუ საეკლესიო ელიტა.

ორონტის ანტიოქიაში ბიზანტიის მეორე ბატონობის პერიოდში ანტიოქიის საპატრიარქოს გამდიერებისა და, ზოგადად სამონასტრო ცხოვრების რეორგანიზაციისთვის ნიკონ შავთელი მიერ დაწყებულმა მოძრაობამ სწორედ ამ კუთხით მიიპყრო ქართველი ბერმონაზვნობის ყურადღება. მართალია, ქართველთა ანტიოქიაში დამკვიდრების პროცესს არ ჩაუვლია ანტიოქიის ბერძენ ღვთისმსახურებთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული პოლემიკის გარეშე (ძეგლები 1967: 142-148; Djobadze, 1986: 3-127), მაგრამ, საბოლოო ჯამში, ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი III-ისა და გიორგი მთაწმინდელის შეხვედრის, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ისა (1018-1072) და დედოფალ მარიამის ანტიოქიაში ჩასვლის შემდგომ ქართველ ბერმონაზვნობას არა მხოლოდ შეექმნა მშვიდობიანი მოღვაწეობის პირობები, არამედ შავ მთასა და საკვირველ მთაზე საფუძვლიანი დამკვიდრების, ქართული მონასტრების დაარსებისა და წიგნების თარგმნა-გადაწერის საშუალებაც მიეცა. უნდა ითქვას ისიც, რომ ორონტის ანტიოქიის რეგიონისადმი ქართველი ბერმონაზვნობის ინტერესს მხარს უმაგრებდა ისტორიული სირიისადმი ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და მისი მოკავშირე ქართული სამხედრო არისტოკრატის დიდი ინტერესიც, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობით XI საუკუნის 30-იან წლებში გამოვლინდა. სწორედ ამ პროცესის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ ორი მეტად საინტერესო ფაქტი: პირველი უკავშირდება 1031 წლის ბალატუნუსის ბერძნულ-ქართულ წარწერას. ქართული წარწერა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის ტბელთა დიდი ფეოდალური სახლის წევრსა და ბიზანტიის მოხელე პანდულ პატრიკს (Aliquot-Aleksidze, 2012: 175-208, ალექსიძე, 2016: 133-156), მეორე კი – მეფე დავით კურაპალატის († 1001) მოხელესა და ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III-ის კარზე მოქმედ სარდალ აბუქაბ ზოლაგარს, რომელმაც 1031 წელს ურჰის (ედესის) დუკის თანამდებობა მიიღო (ალექსიძე, 2016: 166-179). გარდა ამ კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა, ორონტის ანტიოქიისადმი ინტერესს იქ შექმნილი სამწერლობო ვითარება და სირიულ მწერლობასთან დიდი ტრადიციის მქონე ურთიერთობები აძლიერებდა.

დღეისათვის ცნობილია ანტიოქიური წარმომავლობის ოცდახუთი ქართული ხელნაწერი წიგნი (ოთხმეზური, 2019: 350-377). მათთვის დართული კოლოფონები ადასტურებენ, რომ XI-XII სს-ში ქართველი მწიგნობრების საქმიანობა გაშლილი იყო საკვირველ მთასა და შავ მთაზე არსებულ სვიმეონწმინდის, რომანწმინდის, კალიპოსის, კასტანას, ეზრასა და თუალთას მონასტრებში, სელევკიის მახლობლად მდებარე ლერწმისხევისა და კასიუსის მთაზე მდებარე ბარლაამწმინდის სავანეებში. გარდა ამისა, ხელნაწერთა კოლოფონებში დაცული ცნობების თანახმად, ქართველი მწიგნობრები XI საუკუნეში ჩანან არა მხოლოდ შავ მთასა და საკვირველ მთაზე, არამედ მცირე

ალექსანდრიაშიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვის“ თარგმანზე ეფრემ მცირის მიერ დართული ერთ-ერთი მინაწერი:

„სრულ იქმნა ესე ერთი ხუთთაგან წიგნთა წმიდისა დიონისისთა... მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და წმიდისა სჰმეონ საკვრველმოქმედისადათა და ლოცვითა ბერთა ჩუნთა საბაძს და ანტონისითა და მათთანავე მოღუაწებითა და ზრუნვითა ბერისა კვრიკე ალექსანდრიელისადათა, რომლისა ჯსენებად და ნეტარებად საუკუნო იყავნ“ (ხეც A-110, 98r; კეკელიძე, 1980: 253, შენ.).

ორონტის ანტიოქიაში ქართული ხელნაწერი წიგნების ყველაზე ადრეული ერთეული 1031 წლით თარიღდება. ესაა ზემოთ დასახელებულ აბუქაბ ზოლავართან დაკავშირებული ერთი ნუსხა O/Sin. Geo, 78, რომელიც კონვოლუტია. მისი პირველი ნაწილის გადაწერის თარიღი და ადგილი უცნობია (ჩხიკვაძე, 2007: 48-49, 84-85), ხოლო მეორეში იკითხება აბუქაბ ზოლავარის მოსახსენებელი კოლოფონები:

„ქრისტე, შეიწყალე აბუქაბ ზოლავარი და შვილნი მათნი მშვიდობით დაიცვენ ყოველთა ვნებათა სულიერთა და ჯორციელთაგან და მიჰმადლე დღეგრძელობით სიმრთელე და დიდებად, ამინ“ (O/Sin.Geo.78, 266r).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ რეგიონში ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობა არც ანტიოქიაში ჯვაროსანთა მისვლის შემდგომ, კერძოდ კი, ანტიოქიის მთავარ ბოემუნდ IV -ის ზეობის დროს (1207-1233) არ შემწყდარა. 1213-1216 წლებით თარიღდება ვინმე გიორგი ბერის მიერ გადაწერილი სახარება ხეც H-1791 (H ფონდის აღწერილობა 1948: 218).

გარდა ორონტის ანტიოქიის იმ მონასტრების ლოკალიზაციისა, რომლებშიც ქართველი ბერ-მონაზვნები ეწეოდნენ სამწერლობო-მთარგმნელობით საქმიანობას, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველი მწიგნობრები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ იმ წყაროებს, რომლებიც ორონტის ანტიოქიის წიგნსაცავებსა და სამონასტრო ცენტრებში იყო დაცული და რომლებსაც კოსტანტინოპოლის სამწერლობო სივრცე ფაქტობრივად არ იცნობდა ან, შესაძლოა, არ ცნობდა. მაგალითისათვის მოვიხმობთ რამდენიმე ფაქტს: უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას შევაჩერებთ იმ თხზულებებზე, რომელთა ქართული თარგმანებიც ორონტის ანტიოქიის ქართულ სკრიპტორიუმებში შესრულდა. საქმე ეხება ანტიოქიის წმინდანებისადმი მიძღვნილ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს. XI საუკუნის 40-იან წლებში სვიმეონწმინდის მონასტერში გადაიწერა სამი ხელნაწერი კრებული: ხეც A-142, Ivir. Geo. 84 და Jer. Geo. 142, რომლებშიც შესულია წმინდა მართას, სვიმეონ საკვირველმოქმედის დედის, „ცხოვრება“. დასახელებული ხელნაწერები საგანგებოდაა გადაწერილი ივირონისა და ჯვრის მონასტრებისთვის. Ivir. Geo. 84-ში, გარდა „წმ. მართას ცხოვრებისა“, შესულია წმ. ბარლაამის „ცხოვრება“ და ჰიმნოგრაფიული კანონი. ამ ხელნაწერის გამწერია გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი საქმიანობის ინიციატორი, საკვირველ მთაზე დამკვიდრებული გიორგი დაყუდებული. მის კოლოფონში ვკითხულობთ:

“ღმერთშემოსილნო წმიდანო მამანო, მე, გლახაკსა ბერსა გიორგი დაყუდებულსა, მასმიოდა, ვითა ესე წმიდისა და დიდებულისა ნეტარისა მართაძს ცხოვრებად და წმიდისა ბარლაამისი მთაწმიდას არა არსო, და ამის ჯერისათვის ვინებე აღწერად ამისი და მაგას წმიდასა ეკლესიასა შემოწირვად” (Ivir. Geo. 84, 92r).

მეორე და ქართული ეკლესიის საღვთიმსახურო ცხოვრების ორგანიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება XI საუკუნის 40-იანი წლებიდან შავ მთასა და საკვირველ მთაზე მოღვაწე გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილ ანთოლოგიური ტიპის ლიტურგიკულ კრებულებს: თვენებს (Ivir. Geo. 51, Ivir. Geo. 52, Ivir. Geo. 56, Ivir. Geo. 65),

პარაკლიტონს (Ivir. Geo. 45) და დიდ სვინაქსარს (ხეც H-2211). პარაკლიტონი Ivir. Geo. 45 1053-1063 წლებს შორის გადაიწერა სვიმეონწმინდაში, ხოლო დიდი სვინაქსარი – XI ს-ის 40-50-იან წლებში გიორგი მთაწმინდელის მოწაფისა და მიმდევრის მიერ რომანწმინდაში (მეტრეველი 2007: 87-108; დოლაქიძე-ჩიტუნაშვილი 2017: 038). დასახელებული ლიტურგიკული წიგნები კომპილაციური კრებულებია, რომლებიც შედგენილია არაერთი ბერძნული, მათ შორის, სვიმეონწმინდასა და პეტრეწმინდაში არსებული, ხელნაწერის მიხედვით. გიორგი მთაწმინდელი საგანგებოდ აღნიშნავს:

„დიდებად და მაღლი ღმერთსა, სრულმყოფელსა კეთილისასა, ამენ, რომლისა შეწევნითა სრულ-იქმნა ესეცა თუე ივნისი კეთილად და ბრწყინვალედ და ვრცლად ორთა დედათაგან პეტრეწმიდისა და სვმეონწმიდისათა, საჩინოთა და სახელოანთა“ (Ivir. Geo. 45, 189r).

ქართული ლიტურგიკული ტრადიციის ეს დიდი რეფორმატორი კრებულების დართულ ანდერძებში მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ანტიოქიური ტრადიციის მნიშვნელობის შესახებ. იანვრის თვეის კოლოფონში გიორგი მთაწმინდელი წერს:

„ღმერთმან იცის, თუ რაფოში ჭირი მინახავს ამისსა თარგმნასა და უკეთესსა ნუცადა სოფიაწმიდას შინა ვინ ეძებს, რამეთუ არა იპოვებისა სადამე ამისსა უკეთესი საბერძნეთს... ერთი დედად პეტრეწმიდისა მყვა ანტიოქით და ერთი – სვმეონწმიდით, ორნივე ბერძულნი, სახელოანნი და წმიდანნი“ (Ivir. Geo. 51, 5r).

სხვათა შორის, უნდა ითქვას ისიც, რომ პეტრეწმიდის, ანუ ანტიოქიის წმ. პეტრეს ტაძრის ტიპიკონის ან იქ გადაწერილი ბერძნული ხელნაწერების შესახებ დღეისათვის არაფერია ცნობილი. მათი მოძიება კვლავ სამომავლო კვლევის საკითხად რჩება. გიორგი ათონელის რედაქციის ლიტურგიკული კრებულებისათვის დართულ არაერთ მინაწერიდან კი ირკვევა, რომ XI ს-ის ნახევარში ამ სამონასტრო ცენტრს იმდენად მდიდარი სამწიგნობრო გამოცდილება ჰქონდა, რომ ქართული სასულიერო მწერლობის რეფორმატორმა გიორგი ათონელმა იქ არსებული ბერძნული ხელნაწერები საღვთისმსახურო პრაქტიკის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს წყაროდ აღიარა და თარგმნა.

ანტიოქიაში შევსებული და რედაქტირებული ლიტურგიკული კრებულების ქართულ სამონასტრო პრაქტიკაში ჩართვის პროცესი აქ არ დასრულებულა. XII ს-დან სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტაცია სვიმეონწმინდაში ჩამოყალიბებული ტიპიკონის საფუძველზე წარიმართა. ჩვენამდე მოღწეული ამ რედაქციის ყველაზე ადრეული ხელნაწერებია ხეც H-1349 (1247-1249) და O/Sin. Geo. 83 (XII-XIII სს) (Кекелидзе, 1908: 313-347; სინური კოლექციის აღწერილობა 1987: 169-196; ჭანკიევი, 1976: 127-132; ტიპიკონი, 2005)). უნდა აღინიშნოს, რომ ხეც H-1349 ხელნაწერი წარმოადგენს შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონს (H კოლექციის აღწერილობა, 1948: 303-306). შიომღვიმის სამონასტრო ცხოვრების სვიმეონწმინდური ტიპიკონის საფუძველზე რეგლამენტაციის ინიციატორები კი იყვნენ შავ მთაზე მოღვაწე არსენ იყალთოელი და საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი (1073-1227 წწ.). დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისთვის დაწერილ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვთ სულიერმან ბერმან მოძღუარმან ჩემმან იოვანე, რადთა წესსა ზედა სვმეონწმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვმისა წესნი... და მე ხოდაბული შემეწირავს მუხრანს წმიდისა სვმეონ საკვრველმოქმედისადა“ (კორპუსი 1984: 52-59).

გაცილებით ფართო სახეს იძენს ანტიოქიის ქართველთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა მას შემდეგ, რაც ამ პროცესში აქტიურად ერთვება ეფრემ მცირე. პირველი, რაც თვალშისაცემია მის კოლოფონებში მოწოდებულ ცნობებში, ეხება თარგმანებისა და ზოგადად

ამ რეგიონში გაშლილი სამწერლობო საქმიანობის მიზანს - შეიქმნას ანტიოქიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ლიტერატურა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორია“ (ხეც A-689). ტექსტს ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიც თეოდორიტეს მოღვაწეობის, კირილე ალექსანდრიელთან მისი პოლემიკისა და მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული სხვა ფაქტების შესახებაა საუბარი. ანდერძში განმარტებულია „ისტორიის“ თარგმნის უმთავრესი მიზანი. ეფრემი წერს, რომ ანტონ ტბელის დავალებით თარგმნა „ცხოვრებად ესე წმიდათა ამათ მამათაჲ, რომელნი გამობრწყინდეს ანტიოქიას და გარემო სანახებთა და საბრძანებელთა შორის მისთა“ (ხეც A-689, 227r-v).

როგორც აღვნიშნეთ, შავ მთაზე ქართველთა სამწიგნობრო საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივს ქართული ეკლესიისა და ანტიოქიის საპატრიარქოს უძველესი კავშირების რესტავრაციის სურვილიც წარმოადგენდა. ამ კავშირების საფუძველში თავად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები იდო. ამიტომაც შემთხვევითი არც ისაა, რომ XI ს-ის დასასრულს კასტანას მონასტერში მოღვაწე ეფრემ მცირე ადგენს ქართველთა გაქრისტიანების შესახებ შრომას „უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“, რომელიც ეყრდნობა არა ქართული აგიოგრაფიისა თუ ქრონიკების მონაცემებს, არამედ ბერძნულენოვან სირიულ წყაროებს, რომლებიც ეფრემ მცირემ ორონტის ანტიოქიაში, კერძოდ კი, სვიმეონწმინდისა და თუალთას მონასტრებში მოიძია (უწყებად 1959; ჭელიძე 2014: 23-98).

მსჯელობა

ორონტის ანტიოქიაში გადაწერილი ქართული ხელნაწერების შეფასება სცილდება მხოლოდ შუა საუკუნეების საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეფასების ჩარჩოს და ზოგადად XI-XII სს-ის ანტიოქიის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ტენდენციების რესტავრაციის საშუალებასაც აძლევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს. საქმე ისაა, რომ ადრეული ქრისტიანობის ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო ორონტის ანტიოქიაში X-XII სს-ში გადაწერილი ბერძნული, სირიული, არაბული თუ სხვაენოვანი ხელნაწერების მოძიება დღეისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. ხალიფატის შემადგენლობიდან კვლავ ბიზანტიის გავლენაში მოქცევის პერიოდი (969-1084) ჩაანაცვლა ჯერ თურქ-სელჩუკთა, რუმის სულთან სულეიმან I-ისა (1077-1086) და სელჯუკთა იმპერიის სულთან მელიქ-შაჰის (1072-1092) დაპყრობითმა ომებმა; 1098-1268 წლებში ორონტის ანტიოქია ფრანკთა განმგებლობის ქვეშ მოექცა. ანტიოქიის ქრისტიანული გარემო საბოლოოდ განადგურდა მამლუქებისა (1268-1517) და ოტომანთა იმპერიის (1517-1922) ხელში გადასვლის შემდგომ. სავსებით ბუნებრივია, რომ ამგვარ ვითარებაში ძალზე გაჭირდებოდა ქრისტიანული ძეგლების შენარჩუნება. რაც შეეხება ორონტის ანტიოქიაში გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს, ისინი განკუთვნილი იყო ქართული საეკლესიო-სამონასტრო პრაქტიკისათვის და შესაბამისად გადაწერისთანავე გაიგზავნა ივირონის (Ivir.Geo.45, Ivir.Geo.51, Ivir.Geo.52, Ivir.Geo.84), ჯვრის მონასტრის (O/Sin.Geo.78, Jer.Geo. 77, Jer.Geo. 98) წიგნსაცავებსა თუ საქართველოში არსებულ მონასტერში (ხეც A-484, Vat. Iberico 1). ამან ფაქტობრივად განაპირობა ამ ნუსხების დაცულობა და ამით ქრისტიანული მწერლობის ისტორიის მკვლევრებს შემოუწინა მნიშვნელოვანი ცნობები XI-XII სს-ის ორონტის ანტიოქიაში არსებული კულტურული პროცესების შესახებ. ჩვენს თვალსაზრისს საფუძველს უმყარებს თავად ამ პერიოდის ანტიოქიაში განვითარებული

კულტურულ-პოლიტიკური პროცესების შესახებ არსებული კვლევები (Grumel, 1934: 129-147, Nasrallah 1972: 127-159; Todt, 2004: 171-190; Martin-Hisard, 1993: 549-603; Treiger, 2020: 307-372; Cadeau-Messis, 2021: 242-280), რომელთა თანახმადაც, ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და ეკლესიისათვის მნიშვნელოვან ამ რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერების მიზნით კონსტანტინოპოლი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ხანგრძლივი დროის განმავლობაში მის გავლენას მოწყვეტილ ამ რეგიონში არსებული ტრადიციებისათვის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბიზანტიის მეორე ბატონობის ხანაში ანტიოქიის პირველი პატრიარქი ევსტათი ნიკიფორე ფოკამ ოქროს ბულის საფუძველზე ანტიოქიის საპატრიარქოში არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ ანაზარდიდან (კილიკია) გადაიყვანა (Grumel, 1934: 130).

როგორც ცნობილია, ბიზანტიის მეორე ბატონობის ხანაში ორონტის ანტიოქიაში ქრისტიანული ცხოვრების განახლება უკავშირდება XI ს-ის ცნობილ ბიზანტიელ მოღვაწეს, სამონასტრო ცხოვრების რეფორმატორ ნიკონ შავმთელის (Νίκωνος τοῦ Μαυρορείτου; 1025-XI-XII სს. მიჯნა). საეკლესიო კანონმდებლობისა და სამონასტრო წესგანგებების ღრმა ცოდნის საფუძველზე სწორედ მან შეადგინა სვიმეონწმინდის მონასტრის ტიპიკონი. საყურადღებოა, რომ ნიკონ შავმთელის თვალსაზრისით, სამონასტრო ცხოვრების მარეგულირებელი ახალი დოკუმენტის შექმნის დროს აუცილებელი იყო არა აია სოფიისა თუ სტუდიელთა მონასტრის, არამედ იერუსალიმთან მდებარე საბაწმინდის მონასტრის ტიპიკონის გათვალისწინება (Grumel, 1963; Black Mountain 2000 :378-384.). საბაწმინდა, როგორც აღმოსავლური ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, მნიშვნელობას კონსტანტინოპოლის ეკლესიის აღზევების ხანაშიც მყარად რომ ინარჩუნებდა. ამ ფაქტს ადასტურებს ბეირუთის აღმოსავლური ბიბლიოთეკის არაბული ხელნაწერ ms. 346, რომლის თანახმადაც, X საუკუნეში სვიმეონწმინდის წინამძღვარი ანტონი საბაწმინდელი მოღვაწე იყო (Nasrallah, 1972:137).

საბაწმინდისა და ორონტის ანტიოქიის კავშირზე მიგვითითებს იოვანე-ზოსიმეს მიერ X საუკუნის შუა წლებში შედგენილი საეკლესიო კალენდარი, რომელსაც საფუძველად საბაწმინდური ტრადიცია უდევს. კალენდარში შეტანილია ანტიოქიის წმინდანთა - სვიმეონ მესვეტე უმცროსის, წმ. მართასა და წმ. ბარლაამის ხსენებები და ასევე წმ. სვიმეონის „ცხოვრების“ ფრაგმენტი. სვიმეონ მესვეტე უმცროსისა და სვიმეონ დიდის ანუ ჰალაბელის „ცხოვრებებს“ იცნობს სინური ქართული კოლექციის ხელნაწერები O/Sin. Geo. 46 (978 წლამდე) და O/Sin.Geo.6. (981-983). „სვიმეონ ჰალაბელის ცხოვრების“ ქართულ ვერსიებს ყურადღება მიაპყრეს პაულ პეტერსმა და ჟერარ გარიტმა (Peetres, 1950; Garitte, 1957). ჟ. გარიტი საინტერესო დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული თარგმანი უცნობი სირიული ვერსიიდან უნდა მომდინარეობდეს. XI ს-ის 40-იან წლებში ანტიოქიის წმინდანებისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანები საკვირველ მთაზე სპეციალურად ივირონის მონასტრისათვის გადაიწერა. ჰაგიოგრაფიული ძეგლების თარგმნასა და სხვადასხვა კრებულში შეტანას ეორტოლოგიის მოთხოვნები განაპირობებს. სწორედ ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ XI საუკუნის 40-იანი წლებისთვის კონსტანტინოპოლური ტრადიცია ჯერ კიდევ არ იცნობს ამ წმინდანებისადმი მიძღვნილ თხრობებსა თუ ჰიმნოგრაფიულ კანონებს, ვინაიდან ამის საჭიროებას არ განაპირობებს კონსტანტინოპოლის ეკლესიის, უფრო დაზუსტებით კი, აია-სოფიისა და სტუდიელთა მონასტრის ლიტურგიკული პრაქტიკა.

ორონტის ანტიოქიის სამწერლობო გარემოს შესახებ მეტად საგულისხმო ცნობები მოგვაწოდა ეფრემ მცირემ, რომლის ყურადღება მიმართული იყო არა ლიტურგიკული კრებულების, არამედ თეოლოგიური და ფილოლოგიური განათლებისათვის აუცილებელი წიგნების თარგმნა-შედგენისკენ. ამას ეფრემ მცირის თარგმანების არასრული ჩამონათვალიც კი მოწმობს. ეს თხზულებებია: „იოვანე დამასკელის ცხოვრება“, „იოვანე ოქროპირის

ცხოვრება“, ეფრემ ასურის „ასკეტიკონი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, ფსევდო დიონისე არეოპაგელის კორპუსი, თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორია“, გრიგოლ ნაზიანზელის არაერთი არალიტურგიკული და 16 ლიტურგიკული სიტყვა, რომელთა თარგმნას ხელი ეფრემ მცირემ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სრული კორპუსის შექმნის მიზნით მოჰკიდა ხელი (ბრეგაძე, 1971: 429-463; ბეზარაშვილი, 2011ბ: 309-315). ეფრემ მცირის კოლოფონების მიხედვით შესაძლებელი ხდება ვისაუბროთ არა მხოლოდ ქართველი მთარგმნელისა და რედაქტორის დამსახურებაზე, არამედ თავად ორონტის ანტიოქიაში მიმდინარე კულტურულ-სალიტერატურო პროცესებზე, რადგანაც მათში საუბარია ბერძნული კრებულების კომპილირების პრინციპებზე, იმ წყაროებსა და ბიბლიოთეკებზე, რომლებზეც ხელი მიუწვდებოდათ ორონტის ანტიოქიაში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს (თვალთვაძე, 2009 : 3-242). ეს კოლოფონები და კომენტარები დაგვაფიქრებს იმ თანამშრომლობით ურთიერთობებზე, რომლებიც ჰქონდათ ამ რეგიონში მოღვაწე ქართველ და არაქართველ სასულიერო პირებს. კატენებიანი სამოციქულოსთვის დართულ შესავალში ეფრემ მცირე მაღლიერებით იხსენებს სვიმეონწმინდის ყოფილ წინამძღვარ კლიმის, რომლის დახმარებითაც მას საშუალება ჰქონდა ესარგებლა რამდენიმე უცნობი ბერძნული ხელნაწერით (Ivir. Geo. 18, 118r). იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობასა (ხეც A-24, 1v-2v) და ბასილი დიდის „ასკეტიკონისათვის“ დართულ კოლოფონებში (A-689, 167r) ეფრემ მცირე ასახელებს სვიმეონწმინდისა და თვალთას მონასტრების წიგნსაცავებს. მისივე კოლოფონებიდან ვიგებთ, რომ მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტიოქიის პარტიარქ იოვანე IV (V)-თან და „იოანე დამასკელის ცხოვრების“ არაბული რედაქციის ავტორ მიქაელ ხუცესთან და ასევე ბერძნული ვერსიის შემქმნელ ადანის მიტროპოლიტ მიქაელთან. სწორედ ეს ვერსია თარგმნა ეფრემ მცირემ. დღეისათვის დადგენილია, რომ „იოვანე დამასკელის ცხოვრების“ ქართულ რედაქციას ანტიოქიაში შექმნილი ბერძნული რედაქციის რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება (Кекелидзе, 1914 : 119-174).

